პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976
ორშაბათი
20
დეკემბერი
№ 299 (16729)
ფასი 2 კაპ.
1976

**19 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საზეიმო ვითარებაში გადაეცა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მეორე მედალი.**

**ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა დარბაზობა.**



19 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის საზეიმო ვითარებაში ჯილდოს გადაცემის დროს.

საქტას-საქინფორმის ტელეფოტო.

# ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო

**19 დეკემბერს** კრემლის დიდ სასახლეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს** საზეიმო ვითარებაში გადასცეს სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მეორე მედალი.

ამხანაგ ლ ი. ბრეჟნევს ეს ჯილდო მიენიჭა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე კომუნისტურ მშენებლობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განსამტკიცებლად აქტიური, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა დამარცხების, საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის და დაბადების სამოცდამეათე წლისთავის გამო.

ჯილდო გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ.**

ჯილდოს გადაცემის დროს იყვნენ ამხანაგები **ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, დ. ა. კუნაევი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, პ. მ. მაშეროვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. უ. ჩერნენკო, ი. პ. რიაბოვი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **გ. თ. სიზოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი.

დარბაზში იყვნენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები — ამხანაგები **ედვარდ გერეკი, გუსტავ ჰუსაკი. ტოდორ ჟივკოვი, იანოშ კადარი, რაულ კასტრო. ერიხ ჰონეკერი, იუმჟაგიინ ცედენბალი, ნიკოლაე ჩაუშესკუ,** რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ.

ჯილდოს გადაცემისას სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ნ. ვ. პოდგორნიმ.**

შემდეგ საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევმა.**

## ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

ძვირფასო ამხანაგებო!

მეგობრებო!

დღეს ჩვენ საზეიმო ვითარებაში მივესალმებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩვენს ამხანაგსა და ხელმძღვანელს — ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მისი დაბადების სამოცდამეათე წლისთავის დღეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მისალმებაში ყოველმხრივ და სრულად არის ასახული მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, აღნიშნულია უდიდესი წვლილი, რომელიც შეიტანა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, კაცობრიობის მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის ლეონიდ ილიას-ძე ლენინის ორდენით და საბჭოთა კავშირის გმირის მეორე ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოვდა **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, მხურვალედ და გულითადად მივულოცო ჩვენს იუბილარს დაბადების დღე, სამშობლოს უმაღლესი ჯილდოები **(ხანგრძლივი ტაში).**

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის იუბილე მხოლოდ მისი ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღი როდია. ეს დიდი მოვლენაა პარტიისათვის, სახელმწიფოსათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის, რომელსაც იგი სამართლიანად მიაჩნია თავის აღიარებულ ხელმძღვანელად. მისალმებებისა და მილოცვების განუწყვეტელი ნაკადი, რომელიც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა რესპუბლიკიდან, მხარიდან და ოლქიდან, ყველა კუთხიდან მოდის, სოციალისტურ სახელმწიფოთა დიდი ჯილდოები ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს — თანამიმდევრულ ინტერნაციონალისტ ლენინელს, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის ჭეშმარიტ არქიტექტორს, თანამედროვეობის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ჩვენს ზეიმზე მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა ჩამოსვლა, აგრეთვე მსოფლიოს ბევრი სხვა სახელმწიფოდან მიღებული მხურვალე მილოცვები და კეთილი სურვილები, დღევანდელ იუბილეს ჭეშმარიტად საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებს.

ორმოცდახუთ წელზე მეტია, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, თქვენ ხართ ჩვენი სახელოვანი ლენინური პარტიის რიგებში, და ყოველთვის — მოწინავე ხაზზე, საბრძოლო მწყობრში, უძნელეს უბნებზე. ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ლეგენდარული ნიშანსვეტები — პირველი ხუთწლედები, დიდი სამამულო ომის ცეცხლოვანი გზები, ომისშემდგომი ნგრევის დაძლევა, ყამირის ეპოპეა, განვითარებული სოციალიზმის დიდებული საქმეები და გაქანება — თქვენი ნათელი, გმირული ბიოგრაფიის სახელოვანი ფურცლები გახდა. გზა, რომელიც თქვენ განვლეთ მეტალურგი მუშიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნამდე, კომუნისტური იდეურობის, ჭეშმარიტი პარტიულობის, ჩვენი დიადი საქმის ურყევი ერთგულების ნიმუშია. **(ტაში).**

ჩვენ დიდებულ დროს — კომუნისტური ცივილიზა-

(დასასრული მე-2 გვ.)

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

პატივცემულო მეგობრებო!

დღევანდელ ჯილდოს განსაკუთრებული გრძნობით ვიღებ. არცერთი ჩვენგანისათვის არ არსებობს საყვარელი სამშობლოს მადლიერებაზე უფრო დიდი ჯილდო, უფრო დიდი პატივი. განსაკუთრებით მძაფრად ეს დღეს ვიგრძენი, როცა გაზეთებში წავიკითხე თქვენი მისალმების ამაღელვებელი სტრიქონები, ჩემო ძვირფასო ამხანაგებო, და ბრძანებულების ტექსტი, რომელიც აქ ახლახან თქვენი სახელით ნათქვამი გულთბილი სიტყვებით შეავსო ნიკოლოზ ვიქტორის-ძემ. **(ტაში).**

სულითა და გულით მინდა მადლობა გადავუხადო კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას, რომლებმაც ჭეშმარიტად დიდი პატივი დამდეს და მეორედ მომანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. **(ტაში).**

ვამაყობ იმით, რომ ჩემი სიცოცხლის ყოველი დღე განუყოფელია იმ საქმეებისაგან, რომლებითაც ცხოვრობდა და ცხოვრობს ჩვენი კომუნისტური პარტია, ჩვენი საბჭოთა ქვეყანა. **(ტაში).** ყოველთვის და ყველგან ჩემთვის ყველაფერზე მაღლა იყო და კვლავაც არის პარტიის ნდობა, ხალხის ნდობა. **(ტაში).** და, როცა დღეს ამ ჯილდოს — ლენინის ორდენს და გმირის ოქროს ვარსკვლავს ვიღებ, მთელი არსებით მაქვს შეგნებული, რომ იგი პარტიას ეკუთვნის, ისევე როგორც ეკუთვნის მას მთელი ჩემი ძალღონე, მთელი ჩემი სიცოცხლე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ ჯილდოების გულისთვის არ ვმუშაობთ, ამხანაგებო, მაგრამ როცა შენს მუშაობას დიდ შეფასებას აძლევენ, ეს ყოველთვის დიდი სიხარულია, და ამავე დროს — დამატებითი პასუხისმგებლობის გრძნობა, გრძნობა, რომ უფრო დიდია შენი მოვალეობა ქვეყნის წინაშე, ხალხის წინაშე.

ასეთ გრძნობას ახლა მეც განვიცდი. მაგრამ ამას კიდევ სხვა ემატება. თუ იმ პოსტზე, რომელიც მე ახლა პარტიამ მომანდო, სამშობლოს აღიარებას იმსახურებ (ამას კი მარტო ახლა გადმოცემულ ჯილდოს კი არ მივაკუთვნებ, არამედ საბჭოთა ადამიანების ათიათასობით წერილს, რომლებშიც იწონებენ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობას და ამ საქმიანობაში შეტანილ ჩემს წვლილს, გამოთქვამენ კეთილ სურვილებს), ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ, ამხანაგებო, ერთად ვახორციელებთ პარტიული ყრილობების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, — ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი ამაღლების პოლიტიკა, პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის და მყარი მშვიდობისათვის მტკიცე ბრძოლის პოლიტიკა, — სწორი პოლიტიკაა! **(ხანგრძლივი ტაში).** და ჩვენ მომავალშიც მტკიცედ განვახორციელებთ ამ კურსს!

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის წელს შევეგებებით. და როცა ვაფასებთ ყოველივეს, რაც ამ წლების მანძილზე გააკეთეს ჩვენმა პარტიამ და ხალხმა, შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენი მიღწევები მართლაც რომ გრანდიოზულია.

უკვე მრავალი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა ადამიანებისათვის უცხოა ერთი კლასის მიერ მეორე კლასის ექსპლოატაცია, ერთის ხარჯზე მეორის გამდიდრება. მათ არ იციან რა არის უსაზღვრო სასოწარკვეთილება ადამიანისა, რომელმაც სამუშაო დაკარგა და არა აქვს სხვა სამუშაოს შოვნის შანსი. არ იციან, რომ შეუძლებელია საექიმო დახმარება გაუწიო ავადმყოფს ან განათლება მისცე ბავშვებს — იმიტომ, რომ ამისათვის ფული არა გაქვს. ყოველივე ეს საბჭოთა ადამიანებმა უკვე დიდი ხანია აღარ იციან და არც არასოდეს ეცოდინებათ. **(ტაში).**

სოციალიზმის მიერ განთავისუფლებული ხალხის დიადმა ენერგიამ სასწაული მოახდინა. ისტორიულად მოკლე ვადაში უაღრესად ჩამორჩენილი ქვეყანა, როგორიც იყო მეფის რუსეთი — მილიონობით ღატაკი და უუფლებო მშრომელის, მასობრივი უწიგნურობის ქვეყანა. მან მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და მოწინავე სახელმწიფოდ გადააქცია, სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს მძლავრი თანამედროვე ეკონომიკა, დიდად განვითარებული მეცნიერება, სრულყოფილი ტექნიკა, საზოგადოებრივი მორალის, მთელი ხალხის განათლებისა და კულტურის არნახულო მაღალი დონე. მილიონობით მოქალაქე სულ უფრო ფართოდ და აქტიურად მონაწილეობს თავისი სახელმწიფოს, თავისი საზოგადოების საქმეთა მართვაში. საერთო შრომასა და ბრძოლაში ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკური ერთიანობით შედუღაბებული მძლავრი, დაუცხრომელი და ამაყი საბჭოთა ხალხი, გოლიათი ხალხი, მშრომელი ხალხი, პატრიოტი ხალხი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ხოლო თუ საერთაშორისო მხარეს შევეხები, ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ წინათ, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში არ ჰქონია ისეთი ავტორიტეტი და გავლენა, საზღვარგარეთ არ ჰყოლია ამდენი გულწრფელი და ერთგული მეგობარი ან კეთილად განწყობილი პარტნიორი. და სასიხარულოა, რომ ეს ავტორიტეტი, ეს გავლენა უწინარეს ყოვლისა

(დასასრული მე-2 გვ.)

# პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი

## ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი დარბაზობა კრემლში

**სკკპ** ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის** დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით 19 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში გამართეს დარბაზობა.

დღის ხუთი საათია. გიორგის დარბაზში ისმის ჩაიკოვსკის „საზეიმო მარში". მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან დარბაზობის მონაწილენი ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

დამსწრენი ესალმებიან ამხანაგებს **ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, დ. ა. კუნაევს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, გ. ვ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, გ. ა. ალიევს, პ. ნ. დემიჩევს, პ. მ. მაშეროვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. უ. ჩერნენკოს, ი. პ. რიაბოვს.**

გულთბილად, ძმურად შეხვდნენ დარბაზობის მონაწილენი სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებს, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ, — ამხანაგებს **ედვარდ გერეკს, გუსტავ ჰუსაკს, ტოდორ ჟივკოვს, იანოშ კადარს, რაულ კასტროს, ერიხ ჰონეკერს, იუმჟაგიინ ცედენბალს, ნიკოლაე ჩაუშესკუს.**

აქვე არიან ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლუის კარლოს პრესტესი,** დანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე **კნუდ ესპერსენი,** ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე **დოლორეს იბარური,** ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **როდნეი არისმენდი,** მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი **რომეშ ჩანდრა,** ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიისა და სამდივნოს წევრი **ამერიკო სორიილია როხასი.**

დარბაზში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, მოკავშირე რესპუბლიკათა ხელმძღვანელები, მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სკკპ საოლქო და სამხარეო კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის ვეტერანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მხედართმთავრები, კოსმონავტები, დიდი სამამულო ომის მონაწილეები, მეცნიერები, კონსტრუქტორები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

დარბაზობა შესავალი სიტყვით გახსნა **სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ა. სუსლოვმა.** მან თქვა:

ამხანაგებო, მეგობრებო!

აქ შევიკრიბეთ ჩვენი გრძნობებისა და გონების კარნახით, რათა აღვნიშნოთ ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაბადების სამოცდაათი წლისთავი.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

# ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს გადასცეს სამშობლოს უმაღლესი ჯილდო

## ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

(დასასრული)

ციის შექმნის, მშვიდობისა და პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის გაძლიერების, უდიდესი რევოლუციური გარდაქმნების, ძირეული სოციალური ძვრების დროს ვცხოვრობთ. მსოფლიო განუხრელად იცვლება და იცვლება უკეთესისაკენ, მშრომელთა სასარგებლოდ, სოციალიზმის სასარგებლოდ. დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა იყო კომუნისტი ამ დიად დროში, ეკუთვნოდე თანამედროვეობის ყველაზე მძლავრ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ლენინის პარტიას, რომელიც მოწინავე კაცობრიობის ავანგარდშია.

თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, უკვე თორმეტი წელია მეთაურობთ ჩვენი პარტიის საბრძოლო შტაბს — ცენტრალურ კომიტეტსა და პოლიტბიუროს, მთელ ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმართ თანამედროვეობის საარსებო ამოცანების შესაბამისი პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებას. ეს სტრატეგია — აღმშენებლობისა და მშვიდობის სტრატეგია — ყველაზე სრულად აისახა XXIII, XXIV და XXV ყრილობებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებებში, პარტიის პლენუმებზე თქვენს გამოსვლებში, სხვა შრომებში, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში შეტანილი დიდი წვლილია. თქვენი ტალანტი — პოლიტიკური ხელმძღვანელის, მასების ორგანიზატორის ტალანტი პარტიის დიდებულ წინასწარდასახულობათა პრაქტიკულად განხორციელების საქმეს ემსახურება. და ქვეყნის ცხოვრების რომელი სფეროც უნდა ავიღოთ დღეს, ყველგან ვხედავთ კეთილისმყოფელ ცვლილებებს. ეს ცვლილებები კანონზომიერი შედეგია იმ პოლიტიკური კურსისა, რომელსაც საბჭოთა ადამიანები სამართლიანად უკავშირებენ ჩვენს ლენინურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, თქვენს სახელს, თქვენს ნაყოფიერ მოღვაწეობას. **(ხანგრძლივი ტაში).**

თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეთ პარტიისა და ხალხის ერთიანობისა და მონოლითური შეკავშირების განმტკიცებაში. განვლილ წლებში გაიზარდა ჩვენი პარტიის რიგები. განუზომლად ამაღლდა მისი როლი, გაძლიერდა წარმმართველი ზემოქმედება საზოგადოების ცხოვრებაზე. სწორედ თქვენ მიგიძღვით მთავარი დამსახურება პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ლენინური სტილის, პრინციპებისა და ნორმების, კოლექტიური ხელმძღვანელობის, ყველა საკითხის გადაწყვეტაში კოლეგიალობის დამკვიდრებაში. ღრმა იდეურობა და საქმიანი ატმოსფერო, პრინციპულობა და პასუხისმგებლობა, ინიციატივა და აქტივობა, ადამიანებისადმი ამხანაგური დამოკიდებულება, შემოქმედებითი განწყობილება — აი რა არის განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩვენი დღეებისათვის, იმ ატმოსფეროსათვის, რომელშიც ჩვენ ვშრომობთ და ვცხოვრობთ.

თვალსაჩინო წარმატებები, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გარდაქმნაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დაუფლებასა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება და კულტურის ამაღლება დამაჯერებლად მოწმობს პარტიის პოლიტიკის სისწორეს, ჩვენი კურსის სასიცოცხლო ძალას. **(ტაში).**

ბოლო წლებში ახალი დიდი ღონისძიებები განხორციელდა სოციალისტური თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირებისათვის. ამ საქმეში ფასდაუდებელ როლს ასრულებს მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელებთან თქვენი მუდმივი, უაღრესად ნაყოფიერი შეხვედრები და კონტაქტები.

კეთილისმყოფელი ცვლილებები სულ უფრო ვრცელდება საერთაშორისო ურთიერთობის სფეროზეც. საძირკველი ეყრება ამ ურთიერთობის ძირეულ გარდაქმნას სამართლიანობის, თანასწორობის, კეთილმეზობლობის საწყისებზე. სწორედ თქვენ იყავით იმ სამშვიდობო პროგრამის შემუშავების ინიციატორი, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ მიიღო და სკკპ XXV ყრილობამ განავითარა. სწორედ თქვენ იდექით დაძაბულობის შენელებისაკენ მკვეთრი შემობრუნების, მსოფლიოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელებისათვის განსაკუთრებით აქტიური და მტკიცე ბრძოლის პერიოდის სათავეში. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მრავალრიცხოვანი მშვიდობისმოყვარული ინიციატივები და აქციები, რომლებსაც მხარი დაუჭირეს სოციალისტურმა თანამეგობრობამ, მთელმა პროგრესულმა, დემოკრატიულმა ძალებმა. შესამჩნევად არბილებს პლანეტის პოლიტიკურ კლიმატს, აახლოებს ქვეყნებსა და ხალხებს, გვინერგავს კაცობრიობის ხვალინდელი დღის რწმენას.

თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, სრულად ფლობთ კომუნისტი ხელმძღვანელის ხელოვნებას — იგრძნოთ დროის მოთხოვნები, ღრმად ჩასწვდეთ და კონკრეტული გეგმებით განასახიეროთ მილიონთა საარსებო მოთხოვნილებები, დარაზმოთ პარტია მათი შესრულებისათვის. დღეს ძნელია დავასახელოთ რაიმე მოვლენა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ცხოვრებისათვის, მშრომელი კაცობრიობის ბედისათვის, რომელშიც თქვენ მნიშვნელოვანი წვლილი არ შეგეტანოთ. ახალი გაბედული ჩანაფიქრები იქნება ეს კომუნისტური აღმშენებლობის საქმეში თუ ისტორიული ნიშანსვეტები ხალხთა პროგრესის გზაზე, ისეთი, როგორიც იყო ჰელსინკის თათბირი ან კომუნისტთა ამასწინანდელი ბერლინის ფორუმი, — ყველგან თქვენი მონაწილეობა განსაზღვრავს საქმის წარმატებას.

თქვენი საქმეები, ლეონიდ ილიას-ძევ, პრაქტიკული, რეალური, მნიშვნელოვანი საქმეები — აი რა არის თქვენი უსაზღვრო ავტორიტეტისა და ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო ნდობის ცხოველმყოფელი წყარო და „მთელი საიდუმლოება“. **(ტაში).**

ჩვენი მასწავლებლები, მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები მსოფლიოს რევოლუციური განახლების წარმატებას მჭიდროდ უკავშირებდნენ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა, ხალხის მოწინავე წარმომადგენელთა მოღვაწეობას, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს უდავო, უცილობელ ავტორიტეტს, რევოლუციური ტრადიციებითა და რევოლუციური ენერგიით დაბრძენებული, ფართო პოლიტიკური თვალთახედვითა და ორგანიზატორული ტალანტით დაჯილდოებული მებრძოლის ავტორიტეტს. ყველას, ვისაც კი თქვენი ხელმძღვანელობით უმუშავია, შეუძლია თქვას, რომ ყველა ეს თვისება ჰარმონიულად და სრულად არის შერწყმული თქვენს პიროვნებაში, ლეონიდ ილიას-ძევ. **(ტაში).** თქვენი ავტორიტეტი — პარტიის ფასდაუდებელი კუთვნილება — დღენიადაგ და მძლავრად იღვწის ხალხის საკეთილდღეოდ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, კიდევ ერთხელ მხურვალედ მოგილოცოთ სახელოვანი იუბილე, რომელსაც შემოქმედებითი ენერგიით, ყოვლისმძლე მრავალმხრივი გამოცდილებით, პარტიული სიბრძნით, რევოლუციური ოპტიმიზმით აღსავსე ეგებებით. სულითა და გულით გისურვებთ მრავალი წლის ჯანმრთელობას, ნაყოფიერ მოღვაწეობას ისტორიულ სარბიელზე ლენინის დიადი პარტიის სათავეში, რომელიც კაცობრიობას მომავლის გზას უკვალავს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ გადმოგცეთ ჯილდოები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ნ. ვ. პოდგორნიმ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს გადასცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ მედალი.

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

შედეგია ჩვენი ღრმად მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც ესოდენ ენერგიულად ახორციელებდა ჯერ კიდევ დიდი ლენინი, შედეგია ომის, და უწინარეს ყოვლისა, ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, განიარაღებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ჩვენი მტკიცე ბრძოლისა, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად, სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების დასაცავად ბრძოლისა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამ წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ, ამხანაგებო, უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი. რაც უფრო შორს მივდივართ კომუნისტური მშენებლობის გზით, მით უფრო პასუხსაგებია ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა გვიხდება. განუხრელად იზრდება სახალხო მეურნეობის მოცულობა. თავის მოთხოვნებს გვიყენებს მეცნიერების პროგრესი. უფრო მდიდარი და რთული ხდება მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზმი. XXV ყრილობის მოთხოვნა — გავაუმჯობესოთ მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხი და ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა — თვით ცხოვრების მოთხოვნაა. იგი უნდა შევასრულოთ. ამას უნდა მოხმარდეს ახლა პარტიისა და ხალხის მთელი ენერგია.

წინათ იყო ასეთი ანდაზა: ყოველი კაცი თავისი ბედნიერების მჭედელიაო. ვფიქრობ, რომ ეს ანდაზა ახლაც გამოდგება. ქვეყნის განვითარებისა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების გაბედული და შორს გამიზნული გეგმების განხორციელება თვით საბჭოთა ხალხის, ქალაქისა და სოფლის ათეულმილიონობით მშრომელის ხელშია. პარტიის მიერ დასახული დიდი მიზნების მიღწევა იმაზეა დამოკიდებული კონკრეტული საქმეებით დაუჭერენ თუ არა ისინი მხარს პარტიის პოლიტიკას, შესწევთ თუ არა უნარი დღეს გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ იმუშაონ. **(ტაში).**

მთელ ჩვენს ქვეყანაში, მთელ ჩვენს პარტიაში გაბატონებულია მუშაობის ნაყოფიერი შემოქმედებითი სტილი, რომელიც კომუნისტებს შეეფერება. განა ეს არ დაგვეხმარა მეცხრე ხუთწლედის რთულ პირობებში მოგვეპოვებინა საუკეთესო მაჩვენებლები? მისი შედეგები უზრუნველყო მუშათა კლასის, სოფლის მშრომელების, ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებულმა, მაღალინიციატივიანმა შრომამ. ეს არის და იქნება ჩვენი საბჭოთა წყობილების უძლეველი ძალა. **(ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ ბოლო დღეებში ბევრი გულთბილი სიტყვა მითხრეს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც დიდი და საპატიო ჯილდოებით აღნიშნეს ჩემი იუბილე. თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რომ არ შეიძლებოდა აუღელვებლად მომესმინა ეს სიტყვები, მიმეღო ეს ჯილდოები, რომლებიც გადმომცეს ჩვენი ქვეყნების გამაერთიანებელი მტკიცე, ურღვევი მეგობრობის ნიშნად, დიადი საბჭოთა ხალხისადმი, მისი ლენინური კომუნისტური პარტიისადმი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად. **(ხანგრძლივი ტაში).**

სასიამოვნოა, რომ დღეს აქ, დარბაზში, იმყოფებიან მოძმე პარტიათა ხელმძღვანელები და მინდა კიდევ ერთხელ გულითადი მადლობა გადავუხადო მათ და გულთბილად, ძმურად მივესალმო ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ორდენზე, რომელიც ახლახან გადმომცეს გმირის ოქროს ვარსკვლავთან ერთად, გამოსახულია ლენინი, ჩვენი ეპოქის ყველაზე დიადი ადამიანი და ყველა ჩვენგანისათვის, მთელი მსოფლიოს [illegible] ყველაზე ძვირფასი ადამიანი.

ლენინი ჩვენთვის მარტო იმიტომ კი არ არის ძვირფასი, რომ ჩვენი რევოლუციის დროშა, ჩვენი პარტიის დამაარსებელი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელია. იგი ჩვენთვის ძვირფასი და ახლობელია იმიტომაც, და, შესაძლოა, განსაკუთრებით იმიტომ, — რომ მისი გამჭრიახი შემოქმედებითი გონება და უძლეველი ლოგიკა, ანალიზის სიღრმე და გაბედული დასკვნები და მოქმედება, რევოლუციონერის დაუცხრომელი მგზნებარება და ამასთან ერთად უდიდესი ადამიანურობა, უბრალოება და გულისხმიერება — ყოველივე ეს ჩვენთვის იყო და იქნება ცხოვრების ორიენტირი, ფასდაუდებელი ბურჯი და დახმარება დღევანდელ საქმეებში. მართლაც რომ ჩინებულად თქვა პოეტმა: „ლენინი ახლაც ყველა ცოცხალზე უფრო ცოცხალია“. **(ხანგრძლივი ტაში).**

ვიღებ რა ჯილდოს, მინდა პირობა მოგცეთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, და ჩვენი პარტიის ყველა წევრს, ყველა საბჭოთა ადამიანს, აგრეთვე ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებსა და თანამოაზრეებს, რომ ყოველთვის და განუხრელად ვიქნები ლენინის მოძღვრების, მისი უკვდავი მაგალითის მიმდევარი. **(ხანგრძლივი ტაში).** ვიყავი და ყოველთვის ვიქნები პარტიის ერთგული ჯარისკაცი, მშრომელი ხალხის საქმის, ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისა და აყვავების, მშვიდობისა და კომუნიზმის ერთგული მებრძოლი. **(ხანგრძლივი ტაში).**

* * *

შემდეგ ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ ასეთი სიტყვებით მიმართა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს:

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს, რომ კიდევ ერთი ჯილდო უნდა გადმოგცეთ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თქვენ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და შეიარაღებული ძალების სრულყოფაში დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოებული ხართ სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის ოქროსგამოსახულებიანი საპატიო იარაღით. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჯილდოს მიღებისას **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა** თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ვიღებ რა ამ საპატიო იარაღს, მინდა გულითადი მადლობა გიძღვნათ და ვთქვა, რომ ამ ხმალს არასოდეს და არსად არ გამოვიყენებ სამხედრო მიზნით. იგი ჩემს ოთახში იქნება, როგორც ჩვენი შეიარაღებული ძალების სახელოვან ისტორიასთან ჩემი ღვიძლი თანაზიარების სიმბოლო. **(ხანგრძლივი ტაში).**

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა, სხვა საბჭოთა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, მხედართმთავრებმა, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებმა მხურვალედ მიულოცეს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს სამშობლოს დიდი ჯილდო და იუბილე, უსურვეს შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობა, იმისათვის, რომ გაიმარჯვოს ლენინის ნათელმა იდეალებმა, აყვავდეს ჩვენი სოციალისტური სამშობლო, იბედნიერონ მშრომელმა ადამიანებმა, საბჭოეთში აშენდეს კომუნისტური საზოგადოება, ქვეყნად დამყარდეს მტკიცე მშვიდობა.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადი მადლობა გადაიხადა მილოცვებისათვის. (საქპრესი).

# პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

დღეს, თქვენი სახელოვანი იუბილეს დღეს, ყველანი მხურვალედ გილოცავთ თქვენ — კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, უდრეკ ლენინელს, მშვიდობის მგზნებარე მებრძოლს.

თქვენი იუბილე, ლეონიდ ილიას-ძევ, დიდი, ამაღელვებელი მოვლენაა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში მოცემულია თქვენი მოღვაწეობის მაღალი შეფასება, გამოხატულია ჩვენი დიადი პარტიის წევრებისა და ყველა საბჭოთა ადამიანის გულითადი გრძნობები.

უდიდეს კმაყოფილებას გვანიჭებს იმის შეგნება, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე არის ლენინის დიადი საქმის დაუცხრომელი განმგრძობი, ადამიანი, რომელსაც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებიან ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომელმაც პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანის თვალში უდიდესი ავტორიტეტი დაიმსახურა. ჩვენ ვამაყობთ ისტორიული წარმატებებით, რომლებიც კომუნისტური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის — თქვენი, ლეონიდ ილიას-ძევ — ხელმძღვანელობით მოიპოვა საბჭოთა ხალხმა ახალი საზოგადოების მშენებლობასა და განმტკიცებაში, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში.

ამბობენ, რომ ადამიანის სიცოცხლე იმდენად წლებით კი არ იზომება, რამდენადაც მისი საქმეებით, იმით, თუ რისი გაკეთება შესძლო მან. თქვენი საქმენი, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, მკაფიო მაგალითია ყველასათვის, ვისაც უყვარს თავისი სოციალისტური სამშობლო, ვინც ლენინის პარტიის ერთგულია და ისწრაფვის თავისი ძალ-ღონე მოახმაროს ხალხის ბედნიერებას, კომუნიზმის საქმეს.

თქვენს ბიოგრაფიაში ღრმად აისახა საბჭოეთის უმაგალითო განვითარება და ზრდა. თქვენთვის ნაცნობია მუშის შრომაც და გლეხის საზრუნავიც. თქვენ იყავით ინჟინერი, საბჭოთა და პარტიული მუშაკი, პირველიდან უკანასკნელ დღემდე განვლეთ დიდი სამამულო ომის მხედრული გზა. თქვენ მონაწილეობდით უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრების ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენაში. თქვენ შეასრულეთ დიდი როლი ყამირის ათვისებაში, კოსმოსური ეპოპეის მომზადებასა და განხორციელებაში. თქვენ ყოველთვის იყავით სოციალისტური მშენებლობის ყველაზე მოწინავე უბნებზე.

წლითიწლობით, პარტიის თვითეული ახალი დავალების კვალობაზე სულ უფრო სრულად ვლინდებოდა თქვენი ტალანტი — შესანიშნავი ორგანიზატორის, ავტორიტეტიანი ხელმძღვანელის, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის ტალანტი. და სავსებით კანონზომიერია, რომ კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ ეტაპზე სწორედ თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, პარტიამ, ცენტრალურმა კომიტეტმა მოგანდეს ყველაზე პატივსაცემი, ყველაზე საპატიო და ყველაზე ძნელი სამუშაო, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აგირჩიეს. უკვე თორმეტ წელზე მეტია თქვენ ღირსეულად ამართლებთ ამ მაღალ ნდობას.

ყველაზე მკაფიოდ რა ახასიათებს ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების ამ თორმეტ წელს?

უწინარეს ყოვლისა ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამი ყრილობა, რომლებმაც დასახეს სოციალისტური საზოგადოების განვითარების ახალი შესანიშნავი პერსპექტივები, უზრუნველყვეს მისი ეკონომიკის მძლავრი აღმავლობა და საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის სისტემატური ამაღლება.

— საბჭოთა საზოგადოებაში დაიწყო განვითარებული სოციალიზმის ეტაპი, დაიწყო კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უშუალო შექმნა.

— დინამიკურად ვითარდებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობა, მტკიცდებოდა ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის შეკავშირება, დიდი საბჭოთა სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა.

ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენები და პროცესები განუყრელად დაკავშირებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სახელთან, თქვენს სახელთან, ლეონიდ ილიას-ძევ.

განვლილ პერიოდში დიდი პოზიტიური ცვლილებები მოხდა მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში.

უწინარეს ყოვლისა შემდგომ განვითარდა მსოფლიო სოციალიზმი, გაიზარდა სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერება და შეკავშირება, გაძლიერდა მისი გავლენა თანამედროვე ისტორიის მსვლელობაზე. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ახალი დიდი გამარჯვებები მოიპოვა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები და ავტორიტეტი.

საერთაშორისო ურთიერთობაში აღინიშნა შემობრუნება „ცივი ომიდან“, დაძაბულობიდან, დაძაბულობის შენელებისაკენ, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ. და თუმცა აგრესიული იმპერიალისტური წრეები აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებასა და მატერიალიზაციას, თუმცა ჯერ კიდევ გრძელდება გამალებული შეიარაღება, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ: მოპოვებულია უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური გამარჯვება, შემცირდა თერმოატომური ომის საფრთხე, მშვიდობა უფრო საიმედო და უფრო მყარი გახდა.

ეს მიღწეულია მოძმე სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი, მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების მჭიდრო შეკავშირების შედეგად. ეს მიღწეულია ჩვენი სამშობლოს, ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მეცადინეობის შედეგად და უშუალოდ დაკავშირებულია მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახელთან.

საბჭოთა ადამიანებისათვის პარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირადად თქვენი მოღვაწეობა, ლეონიდ ილიას-ძევ, არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კოლექტიური გონებისა და ნების განსახიერება, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების იდეებისა და პრინციპების ურყევი ერთგულების ნიმუში, მოძღვრებისა, რომლის საგანძურში თქვენ დიდი პირადი წვლილი შეგაქვთ. მეცნიერული კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში მოპოვებულ ახალ დიდ მიღწევად აღიქვეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, მსოფლიოს საზოგადოებრიობამ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების დებულებები და დასკვნები, რომელიც თქვენ გააკეთეთ პარტიის XXV ყრილობაზე. ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყრილობასა და ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე თქვენს გამოსვლებს მოჰყვა ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ის დიდი აღმავლობა, რომელიც ყველაზე დამაჯერებლად მოწმობს: პარტიის გეგმები მართლაც ღვიძლი საქმეა საბჭოთა ხალხისა, რომელიც მონოლითურად არის შეკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც თქვენ მეთაურობთ.

თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, ყოველთვის კარგად მოგეხსენებათ საბჭოთა ადამიანების მისწრაფებანი, საჭიროებანი და ინტერესები. თქვენ კარგად გესმით დროის მოთხოვნები და შეგიძლიათ თარგმნოთ ისინი კონკრეტულ საქმეთა ენაზე, უშრეტი ენერგიითა და სიმტკიცით წარმართოთ მუშაობა, რომლის მიზანია საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის სრულყოფა. ეს კი ყველაზე ძირითადი, ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა იმ პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწისა, რომელიც დიდმა ლენინმა შექმნა უკეთესი ცხოვრებისათვის, მშრომელი ადამიანების ნათელი მომავლისათვის საბრძოლველად.

დღეს ჩვენ შეგვიძლია განსაკუთრებით აღვნიშნოთ ისიც, რომ კომუნისტი ბრეჟნევი, რომელსაც პარტიამ უმაღლესი ნდობა აღმოუჩინა, რომელმაც თავს იდო ჭეშმარიტად უზომო პასუხისმგებლობა, იყო და არის უბრალო და თავმდაბალი ადამიანი. ხალხის ინტერესების უსაზღვრო ერთგულება, პრინციპულობა და გულისხმიერება ადამიანთა მიმართ, უნარი ყურად იღო ამხანაგების აზრი, პარტიული მომთხოვნელობა და თვითკმაყოფილებისადმი შეუწყნარებლობა, მუდმივი ყურადღება ყოველივე ახლისა და პროგრესულისადმი — [illegible], ლეონიდ ილიას-ძევ, თქვენი დამახასიათებელი შესანიშნავი თვისებები.

ძვირფასო მეგობარო! ამ დღეებში საბჭოეთის, მთელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან თქვენს სახელზე მოდის მისალმებების, მილოცვების, კეთილი სურვილების უზარმაზარი ნაკადი. მადლიერებისა და მადლობის გრძნობები, რომლებსაც ეს წერილები გამოხატავს, ლენინელი პოლიტიკოსის, კომუნისტი ხელმძღვანელის ყველაზე დიდი, ყველაზე ძვირფასი ჯილდოა.

სამშობლომ დიდი შეფასება მისცა ქვეყნად ყველაზე სამართლიანი, ჰუმანური და ბედნიერი საზოგადოების აღმშენებლობის დიად საქმეში შეტანილ თქვენს წვლილს — დღეს თქვენს მკერდზე აკიაფდა მესამე ოქროს ვარსკვლავი — საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი.

თქვენთვის გადმოცემული მრავალი სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოები მოწმობს იმ პოლიტიკური კურსის დიდი მნიშვნელობისა და ეფექტიანობის აღიარებას, რომელსაც ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, პირადად თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, ახორციელებთ, რათა კიდევ უფრო განამტკიცოთ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ძმური მეგობრობა, კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობა და შეკავშირება, უზრუნველყოთ პლანეტის ყველა ხალხთა მშვიდობისა და კეთილმეზობლური თანამშრომლობის დამკვიდრება.

მოხარული ვართ, გულითადად მივესალმოთ სოციალისტური ქვეყნების მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებს, რომლებიც ამ ღირსშესანიშნავ დღეს აქ ჩვენთან ერთად არიან, ძვირფას ამხანაგებს ტოდორ ჟივკოვს, იანოშ კადარს, ერიხ ჰონეკერს, რაულ კასტროს, იუმჟაგიინ ცედენბალს, ედვარდ გირეკს, ნიკოლაე ჩაუშესკუს, გუსტავ ჰუსაკს. ჩვენს შორის არიან აგრეთვე მოსკოვში ჩამოსული სხვა კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელი მოღვაწენი, ჩვენი ამხანაგები არისმენდი, იბარური, პრესტესი, ესპერსენი, ჩანდრა, სორილია. სულით და გულით მოვახსენებთ ღრმა მადლობას მოძმე პარტიებსა და ხალხებს, მოგახსენებთ პირადად თქვენ ჩვენი პარტიისა და ხალხის საქმიანობის დიდი შეფასებისათვის, იმ ჯილდოებისათვის, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს რომ მიართვით.

თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, განსაკუთრებით შეგფერით ეს ჯილდოები. თქვენი გარჯის, თქვენი ცხოვრების მაგალითის შემყურე ყველა ხალხს შეუძლია თქვას: აი რა ადამიანებს აყალიბებს საბჭოთა საზოგადოება, აი რა ხელმძღვანელებს ზრდის და ირჩევს კომუნისტური პარტია! ესენი არიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვების უდრეკი მებრძოლები, ჭეშმარიტად ლენინური წრთობისა და გაქანების მოღვაწენი.

მაშ, ნება გვიბოძეთ ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო, კიდევ ერთხელ მხურვალედ, ძმურად მოგილოცოთ. ჩვენ ყველანი — და მჯამს, რომ მრავალი მილიონი ადამიანი გვიერთდება ჩვენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, — სულითა და გულით გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს თქვენს უაღრესად დიდმნიშვნელოვან, რთულსა და პასუხსაგებ მოღვაწეობაში ჩვენი ლენინური პარტიისა და დიდი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მშრომელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, მშვიდობის, კომუნიზმის გასამარჯვებლად!

წრფელი გულით ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ბედნიერებას, ლეონიდ ილიას-ძევ, თქვენს ერთგულ თანამგზავრს, ვიქტორია პეტრეს ასულს და თქვენი ჩინებული ოჯახის ყველა წევრს.

თქვენი დღეგრძელობა იყოს, ლეონიდ ილიას-ძევ!

(დასასრული მე-3 გვ.)

# პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი

**ამხ. მ. ა. სუსლოვის გამოსვლა [illegible] დიდი ყურადღებით მოისმინეს, [illegible] დარბაზობის მონაწილენი [illegible] მას და მის მეუ[illegible] [illegible]ლების თაიგულები [illegible].**

თავმჯდომარემ ამხ. მ. ა. სუსლოვმა სიტყვა მისცა **[illegible]ს პირველ მდივანს ამხ. ვ. ვ. გრიშინს.** [illegible] საქალაქო პარ[illegible] [illegible]ის მშრომელთა [illegible] [illegible]ილოცა ლეონიდ [illegible] უსურვა ახალი [illegible]რების, მშვიდო[illegible] [illegible]რი იდეალების [illegible]ობაში.

ამხ. ვ. ვ. გრიშინმა აღნიშნა, რომ ლეო[illegible] [illegible]საუკუნის მოღ[illegible] [illegible]ული. დედაქა[illegible] [illegible] გრძნობენ ჩვენი [illegible] მიერ დასახუ[illegible] [illegible]კომუნისტურ ქა[illegible] [illegible] პარტიული ორ[illegible]განიზაციის, ყველა მოსკოველის მოქმედების საბრძოლო პროგრამა გახდა.

იუბილარს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით, საბჭოთა უკრაინის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მიესალმა **უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. ვ. შჩერბიცკი.** აყვავებული უკრაინის ხალხი და მხარე, თქვა მან, სადაც თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, დაიბადეთ და იზრდებოდით, თავდადებით მუშაობდით და გმირულად იბრძოდით, ამ საზეიმო წუთს გითვლიან ყველაზე მხურვალე სალამს და მოგილოცავენ თქვენ უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით.

თქვენი სახით, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ჩვენი პარტიის საბრძოლო შტაბს, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს აი უკვე მეორე ათწლეულია ჰყავს ნამდვილი ლენინური სკოლის ხელმძღვანელი, მიზანსწრაფი და თანამიმდევარი ინტერნაციონალისტი, ბრძენი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, გულითადი და მომხიბლავი ადამიანი, რომელსაც შეუძლია შეაკავშიროს და შთააგონოს მასები დიადი საქმეებისათვის.

**ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. დ. ა. კუნაევმა** თქვა, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ამაყობენ ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევით, — ჩვენი საყვარელი სამშობლოს ერთგული შვილით, თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწით. თქვენი ცხოვრების ბევრი სახელოვანი ფურცელი, განაგრძო დ. ა. კუნაევმა, განუყოფელია ჩვენი რესპუბლიკისაგან, რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის საქმიანობისაგან. რომელსაც მეთაურობდით ყამირის იმ დაუვიწყარი ეპოპეის გმირულ დროს, რომელმაც ყაზახეთი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ბეღლად აქცია. თქვენს სახელს ბევრი რამ უკავშირდება, რითაც მდიდარი და სახელოვანია საბჭოთა ყაზახეთი.

ყოველივე სიკეთისა და დიდი საქმისათვის, რაც თქვენ გაუკეთეთ რესპუბლიკასა და მთელ ქვეყანას, მადლიერი ყაზახეთის წარმომადგენლები სულითა და გულით გისურვებენ გქონოდეთ დღევანდელი უშრეტი შემოქმედებითი ენერგია, ყამირული ჯანმრთელობა და მხნეობა, რათა თქვენთვის დამახასიათებელი ნაყოფიერებით კვლავაც წარმატებით განახორციელოთ ლენინის დიადი პარტიის გრანდიოზული წინასწარდასახულობა.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს **პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. გერეკს.** მიმართა რა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, მან თქვა: თქვენ ხელმძღვანელობთ საქმიანობას, რომლის მიზანია საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველყოფა, თქვენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა თანამშრომლობის უდიდესი დამცველი ბრძანდებით. ისტორიული მშვიდობის პროგრამა, რომელიც XXIV ყრილობამ მიიღო და შემდგომ განვითარდა სკკპ XXV ყრილობაზე, საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი ინიციატივები — ყოველივე ეს ამ უკეთილშობილესი იდეალების განხორციელებისათვის თქვენს დაუცხრომელ შრომას უკავშირდება. ჩვენ, პოლონელებმა, საკუთარი ათასწლოვანი ისტორიის გამოცდილებიდან განსაკუთრებით კარგად ვიცით თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობიანი ცხოვრების ფასი. სწორედ ამიტომ დიდად ვაფასებთ ადამიანებს, რომლებიც მთელ ძალღონეს ახმარენ ხალხის კეთილდღეობის საქმეს. აი რატომ არის, რომ თქვენი სახელი, ლეონიდ ილიას-ძევ, სამუდამოდ შევიდა თავისუფლებისათვის, სამართლიანობისა და მშვიდობისათვის კაცობრიობის ბრძოლის ისტორიაში.

**რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ს. სოლომენცევმა** განაცხადა: ჩვენ, კომუნისტები, თქვენგან ვსწავლობთ ლენინურად ცხოვრებასა და მუშაობას, ლენინურად ბრძოლასა და გამარჯვებას. ჩვენთვის იმის მაგალითი ხართ, თუ როგორ უნდა ატაროს მაღლა ლენინელმა კომუნისტმა თავისი პარტიის დროშა, ემსახუროს ხალხს, არ დაიშუროს ძალღონე კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის, კაცობრიობის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

თქვენი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში იმდენად დიდია, აღნიშნა ამხ. მ. ს. სოლომენცევმა, რომ დღეს ყოველგვარ დიდ მოვლენას, რომელიც გავლენას ახდენს ხალხთა ბედზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, თქვენს სახელს უკავშირებენ. თანამედროვე მსოფლიოში არ არის სხვა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ასეთი უდიდესი წვლილი შეეტანოს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში.

საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის ნაყოფიერი მოღვაწეობა უსურვა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს პარტიის ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, ლენინის ქალაქისა და ოლქის კომუნისტების და ყველა მშრომელის სახელით **პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ვ. რომანოვმა.** განსაკუთრებული მღელვარების გრძნობით, განაცხადა მან, გადმოგცემთ ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაწილეების, ძველი პიტერელი მუშების, პარტიის ვეტერანების კეთილ სურვილებს.

ჩვენმა ქვეყანამ — მსოფლიოს პირველმა მუშათა და გლეხთა სახელმწიფომ — ნათელი მომავლის მტკიცე რწმენით დაიწყო თავისი მე-60 წელი. ამ რწმენის საფუძველია საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომა, კომუნისტური პარტიის რკინისებური ნებისყოფა, პარტიის მებრძოლი შტაბის — ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის, გამოჩენილი პოლიტიკური ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ბრძნული მოღვაწეობა.

**სიტყვა ეძლევა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ე. ჰონეკერს:** თქვენ მუდამ სამართლიანი საქმის მხარეზე იყავით, მუდამ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდით, საკუთარ ქვეყანას, საკუთარ პარტიას ახმარდით მთელ ძალებს, თქვა მან. განვლილი 12 წლის მანძილზე, რაც თქვენ უმაღლესი პოსტი გიკავიათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა არნახულ მწვერვალებს მიაღწია. ახალი სოციალისტური სამყაროს ძლიერება ურყევი გახდა და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი პლანეტა უკეთესობისაკენ შეიცვალა. მსოფლიოს ადამიანები უფრო თავისუფლად სუნთქავენ და მტკიცედ სწამთ მშვიდობიანი მომავალი.

თქვენ განსაკუთრებით შეუწყეთ ხელი სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებისა და ხალხების ძმური ურთიერთობის განმტკიცებას. ჩვენი ხალხის მიმართ თქვენ ასევე მუდამ იჩენდით სოლიდარობას, ნიადაგ უწევდით მას ფასდაუდებელ მხარდაჭერას განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებაში, ამისათვის მინდა უღრმესი მადლობა მოგახსენოთ ჩვენი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი უძვირფასესი მონაპოვრის — საბჭოთა კავშირთან ჩვენი მეგობრობის სულისკვეთების შესაბამისად.

დარბაზობაზე გამოსულმა **ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამხ. გ. ჰუსაკმა** აღნიშნა: ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი პატივს გცემენ თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, როგორც მუშათა კლასისა და საბჭოთა კავშირის ხალხის დიდ შვილს, მგზნებარე კომუნისტს, იმ პარტიის წარმომადგენელს, რომლის ხელმძღვანელობითაც მიდიან საბჭოთა კავშირის ხალხები სოციალიზმისა და კომუნიზმის ძლევამოსილი გზით. ისინი პატივს სცემენ თქვენს ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური იდეებისადმი, თქვენს დაუღალავ სწრაფვას სოციალისტური თანამეგობრობის და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისადმი, ქვეყნად საზოგადო პროგრესისა და მშვიდობის განმტკიცებისადმი.

ამ მომენტში, განაგრძო ამხ. გ. ჰუსაკმა, მინდა კვლავ ხაზგასმით აღვნიშნო, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, რომ ჩვენი ხალხი წმიდად ინახავს ხსოვნას სახელოვანი საბჭოთა არმიის რიგებში თქვენს პირად მონაწილეობაზე, რომელმაც გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვებით თავისუფლება მოუტანა ჩეხოსლოვაკიასაც.

პროფკავშირების წევრთა 110-მილიონიანი არმიის სახელით ლ. ი. ბრეჟნევს მხურვალედ მიესალმა **საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ი. შიბაევი.** უბრალო მშრომელებისათვის, მათი მუშაობის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის მამობრივმა, წრფელმა, ჭეშმარიტად ლენინურმა ყურადღებამ და ზრუნვამ, ხალხთა მასების ინიციატივისა და შემოქმედების მხარდაჭერამ, თქვა ა. ი. შიბაევმა, თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, მხურვალე სიყვარული, პატივისცემა მოგიხვეჭათ მშრომელებში და მშრომელებს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა პროფკავშირების სახელით, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, გიძღვნით დიდ მადლობას პროფკავშირების შესახებ ლენინური მოძღვრების განვითარებაში უთვალსაჩინოესი წვლილისათვის, განუხრელი დახმარებისათვის, ამ ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციისადმი დიდი ნდობისათვის.

იუბილარს მისალმების სიტყვებით მიმართა **უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ი. კადარმა.** ამხანაგ ბრეჟნევის სახელი განუყრელად შეერწყა იმ დიად იდეებს, რომლებსაც იგი მუდამ ემსახურებოდა, იმ ისტორიულ მოვლენებს, რომელთა მონაწილე და ხელმძღვანელიც თვითონ არის, თქვა ი. კადარმა. ჩვენ, უნგრელი კომუნისტები განსაკუთრებით მადლიერნი ვართ და არასდროს არ დავივიწყებთ, რომ ამხანაგი ბრეჟნევი არა მარტო გულწრფელი სიხარულით იზიარებს ჩვენს წარმატებებს, არამედ ჩვენს გვერდითაც იყო. ჩვენთან ერთად იბრძოდა ჩვენი ისტორიის ძნელბედობის ჟამს. მადლობა მოგვიხსენებია ყველაფრისათვის, რაც მან გააკეთა და აკეთებს მეგობრობის გულისათვის, უნგრელი და საბჭოთა ხალხების ძმური თანამშრომლობის განვითარების გულისათვის.

**ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ტ. ჟივკოვმა** თქვა: ჩვენთვის, ბულგარელებისათვის, თქვენი სახელი, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, სამუდამოდ დაუკავშირდა ბულგარეთ-საბჭოეთის მეგობრობის ყველაზე ნაყოფიერ და ყოველმხრივ აყვავებას. ეს უსპეტაკესი მეგობრობა ჩვენი ცხოვრების წმიდათაწმიდა კანონი გახდა. იგი ჩვენს ყოველ წარმატებაშია ისევე, როგორც მასაზრდოებელი წვენი ხეში — ფესვებიდან კენწერომდე.

ცნობილია, რომ ბულგარეთის მიწა-წყალზე თვალისჩინივით უფრთხილდებიან ჩვენი მეგობრობის მრავალ ძეგლს. მაგრამ სინამდვილეში ამ ძეგლებს თვლა არა აქვს, ვინაიდან დღეს ყოველი ბულგარელის გული ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ცოცხალი ძეგლი და დასაყრდენია. გულში ვინახავთ ჩვენ თქვენს სახესაც, თქვენს ღვაწლსაც სოციალისტური ბულგარეთის წინაშე, ამხანაგო ბრეჟნევ — ორგზის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირო.

**სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი** საბჭოთა კავშირის მარშალს ლ. ი. ბრეჟნევს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომართა სახელით და პირადად თავისი სახელით მებრძოლურად მიესალმა და უაღრესად გულთბილად მიულოცა სახელოვანი იუბილე, ლენინის ორდენითა და საბჭოთა კავშირის გმირის მეორე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით დაჯილდოება, აგრეთვე საპატიო იარაღით დაჯილდოება, რომელსაც სსრ კავშირის ოქროს გერბი ამშვენებს. მინისტრმა საბჭოთა მეომრების დიდი მადლობა უძღვნა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მათთვის არმიისა და ფლოტის შემდგომი სრულყოფისათვის მუდმივი ზრუნვის გამო. ახლა ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალები, აღნიშნა მან, საიმედოდ იცავენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, ეს ძალები საყოველთაო მშვიდობის ბურჯია.

იუბილარს მიესალმა **რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხ. ნ. ჩაუშესკუ.** ჩვენ ვიცით და განსაკუთრებით ვაფასებთ თქვენს დაუცხრომელ მოღვაწეობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე, საბჭოთა კავშირში ახალი საზოგადოების აშენების, სამშობლოს ეკონომიური, კულტურული და სოციალური განვითარებისა და აყვავების, საბჭოთა ხალხების ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის ამაღლების საქმეში. საერთაშორისო ცხოვრებაში ღრმა რევოლუციური, სოციალური და ეროვნული გარდაქმნების განხორციელებაში, პროგრესულ და ანტიიმპერიალისტურ ძალებთან ერთად, დიდ როლს ასრულებენ სოციალისტური ქვეყნები, მათი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს დაძაბულობის შენელებას, უშიშროებასა და მშვიდობას, რაშიც დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირს, რომელსაც ხელმძღვანელად ჰყავს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

ლენინური კომკავშირის, ახალგაზრდობის, ნორჩი ლენინელების სახელით ლეონიდ ილიას-ძეს გულთბილად მიულოცა **სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.**

მოხარული ვარ გაცნობოთ, თქვა მან, რომ ლენინური კომკავშირის, საერთაშორისო ახალგაზრდული მოძრაობის წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის, სრულიად საკავშირო ალკკ რიგებში აქტიური მუშაობისათვის, კომკავშირისა და საბჭოთა ახალგაზრდობისათვის თქვენი ლენინური ზრუნვის გამო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, გამოხატა რა 35 მილიონიანი კომკავშირის ნება, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, დაგაჯილდოვათ სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ოქროს საპატიო ნიშნით.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, თქვენი სამოცდამეათე წლისთავის დღეს სამოცდაათიანი წლების კომკავშირელები და ახალგაზრდობა, განაცხადა ამხ. ე. მ. ტიაჟელნიკოვმა, საზეიმოდ აღუთქვამენ მშობლიურ პარტიას ერთგულებას, თავდადებას, გმირობისათვის მზადყოფნას.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს **კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრს ამხ. რაულ კასტროს.** მიმართა რა იუბილარს, ამხ. რ. კასტრომ თქვა: ამ ღირსშესანიშნავ დღეს, ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ, კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ფიდელ კასტროს, ყველა კუბელი კომუნისტის სახელით კვლავ გამოვთქვამ ურღვევი მეგობრობისა და უდიდესი სიყვარულისა და მარადიული მადლიერების გრძნობებს, რომლებიც დღეს განსაკუთრებით ძლიერია.

არა მარტო კომუნისტებს, არამედ მთელი პლანეტის პროგრესულ კაცობრიობასაც, განაგრძო ამხ. რ. კასტრომ, სამართლიანად აღაფრთოვანებს პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებისა და პარტიის ყველა წევრის უდიდესი საქმიანობა ხალხთა მშვიდობისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის მათს შეუპოვარ ბრძოლაში.

ძვირფასო და პატივცემულო ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ, მინდა გადღეგრძელოთ ყოველივე იმისათვის, რაც გაგიკეთებიათ, გადღეგრძელოთ კაცობრიობის წინაშე თქვენი ღვაწლისათვის და გისურვოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, რათა კვლავაც თავდადებით ემსახუროთ პარტიას, ხალხსა და მთელ კაცობრიობას.

სიტყვა ეძლევა **მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. იუმჟაგიინ ცედენბალს.** მან თქვა: როცა დღეს მივესალმებით ჩვენს ახლო მეგობარსა და უფროს ძმას ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, ჩვენ დიდ პატივს ვცემთ იმ ადამიანის უდიდეს დამსახურებას, რომელმაც შრომითი ცხოვრება რიგითი მუშიდან დაიწყო და განვლო მებრძოლის სახელოვანი გზა, გახდა ყველაზე ავტორიტეტიანი და მძლავრი კომუნისტთა პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელი, თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე. საბჭოთა სახელმწიფოს ზრდაში, დავაჟკაცებასა და აყვავებაში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემდგომ შეკავშირებასა და ერთობაში, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში უდიდესი როლი მიგიძღვით თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, და მადლიერი კაცობრიობა ღირსეულად აფასებს თქვენს უდიდეს დამსახურებას თქვენი იუბილის ამ ღირსშესანიშნავ დღეს.

სიტყვას ამბობს **ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი როდნეი არისმენდი.** მან ადღეგრძელა ინტერნაციონალური სოლიდარობა, რომელსაც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი მუდამ იჩენს ლათინური ამერიკის ხალხებისადმი, ურუგვაის ხალხისა და კომუნისტური პარტიისადმი.

ჩვენ მადლობას გიძღვნით თქვენ, ამხანაგო ბრეჟნევ, ჩვენს ამხანაგსა და ძვირფას მეგობარს, თქვა მან, რეპრესიების წინააღმდეგ მტკიცე გამოსვლისათვის, იმ კომუნისტებისა და სხვა პატრიოტების სიცოცხლისა და თავისუფლების დაცვისათვის, რომლებიც ფაშისტური მჩაგვრობის მსხვერპლი არიან. მინდა აქ გავიხსენო, თუ რა დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და პირადად ამხანაგმა ბრეჟნევმა თავის დროზე საპატიმროდან ჩემს განთავისუფლებაში. ახლა უდიდეს სიხარულს განვიცდით ლუის კორვალანის — ამ მამაცი და ძვირფასი მეგობრის განთავისუფლების გამო, რომელიც კომუნისტის უდრეკი სულის ძლიერების სიმბოლო გახდა.

**სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ამხ. ა. პ. ალექსანდროვმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ნიადაგ ზრუნავენ საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის, რომელიც უშუალო საწარმოო ძალად იქცა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. პრეზიდენტმა თქვა, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედალი მიანიჭა მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში გაწეული ღვაწლისათვის.

ამ ცნობას შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

**იუბილარს მიესალმნენ და მხურვალედ მიულოცეს ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. პ. მ. მაშეროვმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. შ. რ. რაშიდოვმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ა. ალიევმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ი. ი. ბოდიულმა, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ე. ვოსმა, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ტ. უ. უსუბალიევმა, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. პ. პ. გრიშკიავიჩუსმა, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ჯ. რ. რასულოვმა, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ი. გ. კებინმა, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. კ. ს. დემირჩიანმა, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. მ. გ. გაფუროვმა.**

მათ აღნიშნეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, როგორც ლენინური ტიპის პარტიული ხელმძღვანელისა და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, უდიდესი ტალანტი, ლეონიდ ილიას-ძეს, რომელსაც აქვს მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის ღრმა ცოდნა და უნარიანად არის დაუფლებული მუშაობის ლენინურ სტილს, უდიდესი წვლილი შეაქვს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის ფუძემდებლური მიმართულებების — სსრ კავშირის ეკონომიური პოტენციალისა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების, ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცების, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრების შემუშავებასა და განხორციელებაში.

მათ აღნიშნეს, რომ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ექვემდებარება მშრომელი ადამიანების ინტერესებს, ხალხთან მას მუდამ აკავშირებდა და აკავშირებს ღვიძლი, განუყრელი ურთიერთობა. ლ. ი. ბრეჟნევი ყველგან და ყოველთვის მისთვის დამახასიათებელი ენერგიითა და სიმტკიცით იბრძოდა და იბრძვის მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებისათვის.

დარბაზობის მონაწილეებმა ყველა გამოსვლა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

ამხ. მ. ა. სუსლოვმა ადღეგრძელა დარბაზობის დამსწრე მოძმე პარტიების ხელმძღვანელები. კომუნისტური და მუშათა პარტიები, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები, კომუნისტური და მუშათა მოძრაობა, ჩვენი ძმები მთელ მსოფლიოში, ერთიანობა და შეკავშირება უსურვა ხალხთა მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის [illegible]. დამსწრენი ამ სადღეგრძელოს ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

დარბაზში ოვაციამ იქუხა, როცა თავმჯდომარემ სიტყვა მისცა იუბილარს.

ფეხზე ამდგარი დარბაზობის მონაწილენი დიდხანს ესალმებოდნენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

დარბაზობის მონაწილეებს რომ მიმართა, **სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა** თქვა:

ჩემო ძვირფასო ამხანაგებო!

პატივცემულო მეგობრებო!

დღეს აქ გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელები, გულთბილი სიტყვები გამოთქვეს ჩვენს პარტიაზე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების, ჩვენი სახელოვანი კომკავშირის, მეცნიერების, პროფკავშირების წარმომადგენლებმა. გამოვიდნენ სხვა ამხანაგებიც. მინდა, ამის გამო გამოვეხმიანო ყველაფერს, რაც აქ ყოველმა მათგანმა თქვა, თუმცა ეს არც ისე ადვილია.

ნება მიბოძეთ, უაღრესად გულითადი მადლობა მოვახსენო გულთბილი, გულშიჩამწვდომი სიტყვებისა და კეთილი სურვილებისათვის ყველა აქ გამოსულ ამხანაგს, მათ შორის ჩვენს სტუმრებს — მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების ხელმძღვანელებს. მესიამოვნა ასეთი დაფასება და, ბუნებრივია, მადლობელი ვარ ყველასი.

მაგრამ ამასთანავე უნდა მოვახსენოთ, ამხანაგებო: მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვისაც ქებამ შეიძლება თავბრუ დაახვიოს. ცხოვრებას ასე არ დავუჩვევივარ. სიჭაბუკიდანვე მუშათა წრეში, პირველი ხუთწლედების ძნელ წლებში, ომის პირველი დღეებიდან ფრონტზე სრულ გამარჯვებამდე მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ, ომისშემდგომი აღდგენის პერიოდში, ყამირის ათვისების წლებში — ყველგან და ყოველთვის იმ ადამიანებში ვტრიალებდი, რომლებიც თავდადებით მუშაობდნენ, მთელ თავიანთ ძალღონეს სამშობლოს ახმარდნენ და ეს მიაჩნდათ პარტიის, ხალხის წინაშე მოსახდელ ბუნებრივ მოვალეობად, არც კი ფიქრობდნენ რაიმე ჯილდოზე, რაიმე ქებაზე. ვერ ვიტყვი, რომ საგანგებოდ ვცდილობდი მივბაძო ამ ადამიანებისათვის. არა, ისეთივე ვიყავი, როგორც ყველა. და, ეტყობა, ასეთივე დავრჩები. მეტსაც გეტყვით: ხელახლა რომ მომიხდეს ცხოვრება, არც კი დავფიქრდებოდი და ისევ იმ გზას — ჩვენი დიადი პარტიის იდეალების სამსახურის გზას დავადგებოდი.

საზეიმო სიტყვები მიღწევებსა და წარმატებებზე, დღეს რომ ითქვა აქ, იმდენად ჩემი ღირსებებისა და ნაღვაწის დაფასებად არ ჩამესმოდა გულში, რამდენადაც იმ დიადი მიღწევების აღიარებად, რომლებიც განვლილ წლებში მოიპოვა ჩვენმა საბჭოთა ხალხმა — მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, მშრომელმა ინტელიგენციამ — ლენინის მიერ შექმნილი პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენს ქვეყანას კი მართლაც უზარმაზარი მიღწევები აქვს. ჩვენ ახლა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მესამოცე წელში გადავდექით და, განვლილ გზას რომ გავყურებთ, ამ მიღწევებს განსაკუთრებით ცხადად ვხედავთ. ყველას ბევრი რამ გვაქვს საამაყო. მაგრამ ჩვენ აღტაცებული ფანტაზიორები როდი ვართ. ჩვენ კარგად ვიცით და ვხედავთ, რომ ცხოვრებაში ნაკლოვანებებიც გვაქვს, და ყველანი ერთად შეუპოვრად ვმუშაობთ, რათა რაც შეიძლება მალე აღვკვეთოთ ისინი.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის ყველა წარმატება მიღწეულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მისი სწორი პოლიტიკის მეოხებით. ეს უდავოა. ვერცერთი ხომალდი ვერ გაიგნებს გზას ოკეანეში და ვერ მიაღწევს მიზანს უკაპიტნოდ და უშტურმანოდ. ხოლო როცა კაპიტნად და შტურმანად გვევლინება პარტიის, მშრომელთა ყველაზე გამოცდილი და შეგნებული რაზმის კოლექტიური სიბრძნე, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ: კურსი არასდროს შეგვეშლება.

მაგრამ სხვაც უდავოა, ამხანაგებო: ჩვენ ეს წარმატებები არ გვექნებოდა, მთელ საბჭოთა ხალხს გონებითა და გულით რომ არ აღექვა პარტიის პოლიტიკა თავის ღვიძლ საქმედ, რომ არ შეესხა მისთვის ხორცი კონკრეტულ საქმეებად ისეთივე შეუპოვარი და თავდადებული შრომით, როგორი შეუპოვრობითა და თავდადებითაც იცავდნენ დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ადამიანები თავიანთ სამშობლოს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართ.

ჩვენი დიდი ბედნიერება ის არის, რომ საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს თავის ლენინურ პარტიას, მხარს უჭერს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც! საქმე კი ბევრი გვაქვს, ქალაქებისა და სოფლების ყველა მშრომელს გამოეძებნება დიდი და პასუხსაგები საქმე. ამ საქმის წარმატება კიდევ უფრო აგვამაღლებინებს ხალხის კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და კულტურის დონეს, კიდევ უფრო ქმედითს გახდის ჩვენს ბრძოლას მტკიცე მშვიდობისათვის, ჩვენს თანამშრომლობას მეგობარ სახელმწიფოებთან.

იმისათვის, რომ ამ მიზნებს მივაღწიოთ, თქვენი დღევანდელი იუბილარიც, და ვფიქრობ, ყველა მისი ამხანაგიც, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს ყველა წევრი, მზად არიან კვლავაც მოახმარონ ამ საქმეს მთელი თავიანთი გამოცდილება და მთელი თავიანთი ძალღონე.

პატივცემულო ამხანაგებო, ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ სადღეგრძელო:

— გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს. რომელმაც უკვე საქვეყნოდ ცხადყო. რომ შეუძლია იბრძოლოს უმაგალითო მამაცობით იმისათვის, რაც მისთვის წმიდათა წმიდა და ძვირფასია. და შეუძლია იშრომოს გმირულად, თან ისე, რომ გააოცოს მსოფლიო თავისი შრომის შედეგებით!

— გაუმარჯოს ჩვენი საზოგადოების წარმმართველ ძალას, მშრომელი ხალხის ავანგარდს, ჩვენს ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

— გაუმარჯოს ხალხისა და პარტიის ურღვევ ერთიანობას — ყველა ჩვენი მიღწევისა და გამარჯვების საწინდარს!

— გაუმარჯოს დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობას და შეკავშირებას!

— და გაუმარჯოს მტკიცე მშვიდობას ქვეყანაზე. რომელიც გვჭირდება ჩვენც და ყველა სხვა ხალხსაც!

გულითადი მადლობა მომიხსენებია ყველასათვის, ჩემო ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო.

**ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბოლო სიტყვებს დარბაზში შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ. გაისმოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩვენი ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა ხალხის სადიდებელი შეძახილები.**

**თავმჯდომარემ ამხ. მ. ა. სუსლოვმა წარმოთქვა სადღეგრძელო:**

**— ჯანმრთელად, ბედნიერად გვყავდეს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი. ახალი წარმატებები მოეპოვებინოს საბჭოთა ხალხის ბედნიეროდ, საყოველთაო მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საკეთილდღეოდ თავის კეთილშობილურ მოღვაწეობაში! (ხანგრძლივი ტაში).**

**— გაუმარჯოს ყველა აქ მყოფ ამხანაგს! (ხანგრძლივი ტაში).**

**— გაგიმარჯოთ, ძვირფასო ამხანაგებო, ბედნიერებას და ახალ წარმატებას გისურვებთ კომუნისტურ მშენებლობაში! (ხანგრძლივი ტაში).**

**დარბაზობის დროს გაიმართა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. ზეიმურ, უაღრესად გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა კრემლის დიდ სასახლეში გამართულმა დარბაზობამ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაბადების 70-ე წლისთავს მიეძღვნა. (საქინფორმი).**

ცხინვალის ქართული თეატრის მე-100 და ოსური თეატრის 70-ე წლისთავი



# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაჯილდოება

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ორდენით

ფხენიანი, 19 დეკემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა კიმ ირ-სენმა გამოსცა ბრძანებულება პირველი ხარისხის „სახელმწიფო დროშის“ ორდენით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დაჯილდოების შესახებ.

როგორც კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გადმოსცა, ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო კომიტეტი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს აჯილდოებს „საბჭოთა კავშირის აყვავებასა და განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში დამსახურებისათვის, სამშობლოს დამოუკიდებელი მშვიდობიანი გაერთიანების მიზნით ჩვენი ხალხის ბრძოლის მხარდაჭერისათვის, კორეისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ტრადიციული მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით“.

## ლუის კორვალანი სსრ კავშირში ჩამოვიდა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი ლუის კორვალანი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ჩილეს ხელისუფლებმა საპატიმროდან გაათავისუფლეს და ჩილედან გამოასახლეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ განაცხადეს, რომ მზად არიან გაუწიონ მას სრული მასპინძლობა.

18 დეკემბერს ამხანაგი ლუის კორვალანი მეუღლითურთ საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა.

(საქდესი).

## თავდაცვითი მუშაობის აღმავლობისათვის

### საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების IV ყრილობა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გაიმართა საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების IV ყრილობა.

ყრილობაზე განიხილეს 1971 წლის ნოემბრიდან 1976 წლის დეკემბრამდე რესპუბლიკის თავდაცვითი საზოგადოების საქმიანობის შესახებ საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ჯანჯღავამ და საქართველოს დოსააფის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ გ. პაპაშვილმა. განხილვაში მონაწილეობდნენ დოსააფის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. უსოვი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დოსააფის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე გ. წივწივაძე, დოსააფის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ს. კახაძე, დოსააფის აჭარის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჩხიკვაძე, დოსააფის ახალციხის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ა. გელაშვილი, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი რ. ნიორაძე, დოსააფის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ხ. ბასაევი, დოსააფის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. სულამანიძე, ომის ვეტერანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თ. გოთუა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი მ. ჩერედნიჩენკო, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ნ. ფოფხაძე, ქალაქ ზუგდიდის სპორტულ-ტექნიკური კლუბის უფროსი ი. აიოლა, პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი დ. მაღალაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე გ. მაქაცარია, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ნ. მელიქიშვილი და სხვ.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ჩხეიძემ.

დელეგატთა ერთსულოვანი ტაშის გრიალში ყრილობამ მიიღო წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი.

დელეგატთა ტაშის გრიალში მიიღეს ტექსტი მილოცვისა, რომელიც ყრილობამ გაუგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს დაბადების 70-ე წლისთავის გამო.

გაიმართა საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის, სარევიზიო კომისიის, სსრ კავშირის დოსააფის VIII ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

• • •

საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ აირჩია ვ. ჯანჯღავა.

საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური სარევიზიო კომისიის პირველ სხდომაზე მის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს გ. პაპაშვილი. (საქინფორმი).

# მეგობრობის თეატრი

„კომუნისტის“ ინტერვიუ

გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს ინტერვიუს აძლევს პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი

სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრიობა ზეიმობს ცხინვალის ქართული თეატრის მე-100 და ოსური თეატრის 70-ე წლისთავს. ეს ქართველი და ოსი ხალხების ისტორიული მეგობრობის კიდევ ერთი გამოხატულებაა. ათეული წლების მანძილზე ორი თეატრი ერთ მეგობრულ ტაძარში იღვწის ქართული და ოსური თეატრალური ხელოვნების აღმავლობისათვის.

ცხინვალში ქართული თეატრის დაბადება დაკავშირებულია გამოჩენილი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის სახელთან. აქ, მის მშობლიურ მხარეში, ამ ერთი საუკუნის წინათ დაიწყო სუნთქვა ქართულმა თეატრმა, რომლის ისტორიის თავფურცელი ასე იწყება:

„1875 წლის 31 აგვისტოს, კვირა დღეს ცხინვალში, ივანე მაჩაბლის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით უფალ ალექსანდრე თვანოვის სახლში წარმოდგენილი იქნა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. წარმოდგენა ისე მშვენივრად წავიდა, რომ თბილისშიაც იშვიათია ხოლმე ასე კარგი წარმოდგენა. კაცებმა უნაკლოდ აღასრულეს თავიანთი როლები: ზაალ მაჩაბელმა — პავლეს როლი, ივანე მაჩაბელმა — ივანეს როლი, დანარჩენთაც ურიგოდ არ უთამაშნიათ,“ — იუწყებოდა გაზეთი „დროება“ 1875 წლის 19 სექტემბრის ნომერში. ეს იყო პირველი წარმოდგენა ცხინვალში, პირველი „მადლიანი თესლი, რომელიც თავიდანვე ნაყოფიერ ნიადაგში მოხვდა და გაღვივდა“, აღმოცენდა.

ივანე მაჩაბელმა თავისი პირველი სპექტაკლით მარადიული ცეცხლი დაანთო თავის მშობლიურ კუთხეში. ამ ცეცხლის სითბოთი იზრდებოდა თაობა. ამ ცეცხლს ჯანო მაჩაბლის სახელივით ჩაქრობა არ უწერია. დღეს ის ახალი ძალით ანთია, გიზგიზებს, როგორც პროფესიული თეატრი.

ცხინვალის სცენისმოყვარეთა დასს ზრუნვას არ აკლებდა იმდროინდელი თეატრალური საზოგადოება, ინტელიგენცია. ძირითადად ეს განსაზღვრავდა მის სიცოცხლისუნარიანობას. წარმოდგენების უმრავლესობა თბილისიდან მოწვეული პროფესიული მსახიობების ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა. ცხინვალის პროფესიული თეატრალური დასის წარმოდგენებში მონაწილეობდნენ გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეები: ავქსენტი ცაგარელი, ვალერიან გუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ელენე აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, კოტე მესხი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვები. საამაყოა, რომ ნატო გაბუნია-ცაგარელისამ და ზურაბ მაჩაბელმა სცენური ნათლობა ცხინვალის თვითმოქმედ თეატრალურ დასში მიიღეს. ამრიგად, ახლანდელმა პროფესიულმა თეატრმა მდიდარი და მყარი ტრადიციები მიიღო მემკვიდრეობად.

ახლად დაარსებულმა პროფესიულმა თეატრმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იმხანად ახალგაზრდა რეჟისორი ვიქტორ მურღულია, განახორციელა ვ. შკვარკინისა და ა. კორნეიჩუკის ფართოდ ცნობილი პიესების — „ნაბიჭვრისა“ და „პლატონ კრეჩეტის“ დადგმა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტს“, რომლის დადგმაც ვ. მურღულიას ეკუთვნის. სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ და მაყურებლები აღაფრთოვანეს გ. ივანიძემ — კრეჩეტი, მ. მელქოევამ — მაია, მ. ქრისტესიაშვილმა — ლიზა, რ. დავარაშვილმა — არკადი.

თეატრის ხელმძღვანელობას სწამდა თავისი შემოქმედებითი ძალების უნარი და მეტად სერიოზულ რეპერტუარს არჩევდა, მისდევდა დროის მოთხოვნებს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სარეპერტუარო პოლიტიკას. მაგალითად, პირველი სეზონების რეპერტუარში იყო ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, ს. შანშიაშვილის „არსენა“, გ. თაქთაქიშვილის „ხალხის რჩეული“, მ. აღლაძის „გულნარა“, ნ. ბეგიჩოვის „უკვდავი მადრიდი“, კლასიკური რეპერტუარიდან — მ. გორკის „ფსკერზე“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, ნ. გოგოლის „რევიზორი“, მოლიერის „ძალად ექიმი“, ალ. პუშკინის „ძუნწი რაინდი“ და სხვ. ეს რეპერტუარი სათანადო სცენურ ხორცშესხმას პოულობდა. წარმატებების საწინდარი ისიც იყო, რომ ქართულ თეატრს ენერგიულ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანოები და ისიც, რომ მას ძმურად ამოუდგა მხარში ოსური პროფესიული თეატრი. ეს ორი თეატრი ერთ ორგანიზმად იქცა. ამის ნათელი დადასტურება იყო ოსური ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დეკადა 1940 წელს თბილისში, რომელიც ქართველი და ოსი ხალხების მარადიული მეგობრობის მანიფესტაციად იქცა (დეკადას ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა). რესპუბლიკის მთავრობამ დიდი შეფასება მისცა დეკადას და მის მონაწილეებს. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებები მიენიჭათ თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს ვიქტორ მურღულიას, თეატრის მთავარ მხატვარს მახარბეგ თუღანოვს და კომპოზიტორ ბორის გალაევს; საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭათ მსახიობებს ივანე ძახოვს, დიმიტრი მამიევს, ნინა ჩაბიევას, მსახიობ და დრამატურგ მუხტარ შავლოხოვს... მათი რიგები შემდგომში გაიზარდა და დღეს ორივე კოლექტივში ორ ათეულზე მეტი რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებული არტისტი მოღვაწეობს.

დღეს ორივე თეატრს ყველა შესაძლებლობა აქვს შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნისა და ისინიც კარგად იყენებენ ამას, მაყურებელს ახარებენ მაღალმხატვრული სპექტაკლებით. მათს „ოქროს ფონდშია“ რუსული, ქართული, ოსური და სხვა საბჭოთა ხალხების, დასავლეთ ევროპის კლასიკოსთა ნაწარმოებები. მაყურებელმა იხილა ჭავჭავაძისა და შექსპირის, ხეთაგუროვისა და სოფოკლეს, შილერისა და ბრიტაევის, ერისთავისა და გოგოლის, გოლდონისა და სიმონოვის გმირები. ცხინვალელი მაყურებელი თავის სცენაზე შეხვდა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის, თავისუფლებისათვის მებრძოლების ცეცხლოვან სახეებს. დღევანდელი ცხინვალელი მაყურებელი ყოველთვის მოწიწებითა და პატივისცემით ხვდება სცენის სახელოვან მოღვაწეებს დ. მამიევს, ნ. ჩაბიევას, ზ. ჩაბიევას, მ. მელქოევას, რ. პლიევას, გ. ბიჩიკაშვილს, ი. შერაზადიშვილს, ი. ცხვირაშვილს, ვ. დარბუაშვილს, გ. ქოქოევს და სხვებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში იწვოდნენ და იწვიან შემოქმედებითი ცეცხლით. დღევანდელ თეატრს ამშვენებს დიდი ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომელთაც თეატრალური განათლება მოსკოვისა და თბილისის თეატრალურ ინსტიტუტებში მიიღეს. საამაყოა, რომ მსახიობთა შემოქმედებითს ძალების სწორი, მაღალმხატვრული ხელოვნების გზით წარმართავენ ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორები უ. მინდიაშვილი და მ. მაძაევი.

ცხინვალის ქართული და ოსური თეატრები დღეს ბრწყინვალედ ასრულებენ თავიანთ მისიას, მხარში უდგანან ხალხს გმირული შრომის დიდ გზაზე, ხელს უწყობენ მასების იდეურ-მხატვრული და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, გამოხატავენ ჩვენი ეპოქის რომანტიკას, ჩვენი თანამედროვის ჰუმანიზმსა და სულიერ სიმდიდრეს.

• • •

სურათზე: ცხინვალის თეატრის ქართული და ოსური დასის მსახიობები თეატრის შენობასთან.

მ. ალბოროვის ფოტო.

## სოფლის მოსწავლეთა ახალმოსახლეობა



ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში აშენდა ახალი ნათელი სამსართულიანი შენობა. ამ შენობაში მოთავსდება სოფლის საშუალო სკოლა, რომელშიც კოლმეურნეთა შვილები სწავლობენ.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტის ნ. ანასტასიევის მიერ გადაღებულ სურათზე აღბეჭდილია ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის საშუალო სკოლის ახალი შენობის საერთო ხედი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# საჩუქარი ქორწინების დღისათვის

### ფულადი სახსრების შენახვის საიმედო ფორმა

სახელმწიფო ქონებრივი და პირადი დაზღვევა მოსახლეობაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო დაზღვევის მომსახურებით სარგებლობს ერთ მილიონ ექვსასი ათასზე მეტი მშრომელი. განსაკუთრებით პოპულარულია პირადი დაზღვევა, იგი გარკვეულ შემთხვევაში მატერიალური დახმარების გარანტიას იძლევა და ამავე დროს მტკიცე, საიმედო ფორმაა ოჯახის ფულადი სახსრების შენახვისა.

საქორწინო დაზღვევა ახალი სახის დაზღვევაა და მოქმედებას 1977 წლის 1 იანვრიდან იწყებს. იგი საშუალებას იძლევა დააგროვოთ საჭირო თანხა ადამიანის ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი და სასიხარულო დღის აღსანიშნავად, როგორიც ქორწინებაა.

ამ სახის დაზღვევაზე ხელშეკრულება ბავშვის სასარგებლოდ ფორმდება მშობლებს, მშვილობლებს, გამზრდელ ნათესავებსა და სახდაზღვევო ინსპექციას შორის. სადაზღვევო თანხა ბავშვს სრულწლოვანი ასაკის მიღწევისას გაიცემა, მაგრამ არაუადრეს ქორწინების დღისა. ახალგაზრდა მოქალაქეებისათვის, რომლებიც დაქორწინდებიან 18 წლის ასაკის შემდეგ, თანხა ყოველ გასულ წელზე გაიზრდება 2 პროცენტით, მაგრამ, თუ დაზღვეულს 25 წელი შეუსრულდა და იგი არ დაქორწინებულა, მხოლოდ 14 პროცენტით გაზრდილ სადაზღვევო თანხას მიიღებს.

სადაზღვევო თანხა შეიძლება იყოს სხვადასხვა ოდენობისა, მაგრამ არანაკლებ 300 მანეთისა, იგი დგინდება დამაზღვეველისა და სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას შორის შეთანხმებით. ერთდროულად ასეთი ხელშეკრულება წარმოადგენს უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევის ხელშეკრულებასაც.

ამ ხელშეკრულების გაფორმებისათვის დაწვრილებითი ცნობების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში, ან ბინაზე გამოიძახოთ დაზღვევის აგენტი.

ო. გიორგობიანი,
საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროსი.

საქართველოს მთა-ბარში

## მკითხველის კალმით

□ ტყიბული. „ვისი ეზო სჯობს?“ — ამ დევიზით მოეწყო ეზო-კარმიდამოების საქალაქო დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებების კოლექტივებმა და მაცხოვრებლებმა.

ჟიურიმ პირველი ადგილი მიაკუთვნა გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის, საწირის საშუალო სკოლასა და კეცხოველის ქუჩის № 5 მრავალსართულიანი კომუნალური სახლის ეზოებს. მცხოვრებთა შორის კი უპირატესობა ექიმ ვ. კირკიტაძის და მუშა შ. ბერეკაშვილის ეზოებს ხვდა წილად.

□ ჩოხატაური. დღითიდღე იზრდება და ლამაზდება დაბა ჩოხატაური. ახლახან მის შესასვლელში სკკპ XXV ყრილობის მასალებისადმი მიძღვნილი პლაკატების სტენდი მოეწყო, ხოლო კულტურისა და დასვენების პარკში — მოწინავეთა სტენდი. კინოთეატრის მახლობლად ახალი სკვერი გაშენდა.

ნ. ბენდელიანი.

## შვილი ჯარში მსახურობს

□

## მადლობა

თბილისი, ალექსანდრა და ზაქარია ბოგვერაძეებს



თქვენი შვილი ალექსანდრე ასე კეთილსინდისიერად რომ ასრულებს სამშობლოს ერთგული დამცველის საპატიო მოვალეობას, ეს უთუოდ მშობლების დიდი დამსახურებაა. იგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი და სამაგალითო ჯარისკაცია, ისე იქცევა, რომ მებრძოლ მეგობრებს უყვართ და პატივს სცემენ. თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ კარგად აღზრდილი შვილით, სამშობლოს ერთგული დამცველითა და სანიმუშო მოქალაქით. ამიტომაც გულწრფელ მადლობას გიგზავნით ჩვენი სამხედრო ნაწილის მეთაურთა და რიგითი შემადგენლობის სახელით.

რ. პოლეჟაი,
ნაწილის მეთაური.

## სიხარული

თბილისი, ციალა და ზურაბ კახიძეებს



ჩვენთვის სასიამოვნოა შეგატყობინოთ თქვენი შვილის კახაბერის კეთილსინდისიერი და ერთგული სამსახური, რასაც იგი საბჭოთა არმიის რიგებში ეწევა. ის ნამდვილად რომ ამართლებს მშობლიურ ზრუნვას, ამაგს, რასაც ასეთი კარგი შვილის აღზრდისათვის ეწეოდით. კახაბერი საბრძოლო მომზადების ფრიადოსანია, უაღრესად დისციპლინიანი და სამაგალითოა ყველა მებრძოლისათვის.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ერთგული შვილის ასე აღზრდისათვის ჩვენი სამხედრო ნაწილის მეთაურობა უღრმეს მადლობას გითვლით, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ.

ი. კუზნეცოვი,
სამხედრო ნაწილის მეთაური;

ნ. ზაფიროვი,
მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

## „სპორტლოტო“

სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის 15 დეკემბერს მოსკოვში გამართული 50-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი გამოცნობილია ერთ ბარათში. მოგების თანხაა 5000 მანეთი. ხუთი გამოცნობილი ნომრისათვის მოგების თანხაა 2950 მანეთი (65 ბარათი); ოთხი ნომრისათვის — 66 მანეთი (3.634); სამისათვის — 3 მანეთი (72.636).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 4.317 მანეთი (19 ბარათი); ოთხი — 76 მანეთი (1.381); სამი ნომერი — 3 მანეთი (28.609).

50-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 26 დეკემბრიდან 26 იანვრის ჩათვლით.

ჭადრაკი

## კარპოვი თუ ბალაშოვი?!

გადადებული პარტიების დამთავრებისას დამარცხდა გრიგორიანი, პოლუგაევსკის კი ზეი ეფ[illegible] კიდევ ადრე შეუთანხმდა [illegible]. როგორც უკვე ვიუწყებოდით, კარპოვი დაეწია ბალაშოვს. მან მოუგო გულკოსა და ვაპანიანს. თუ გულკოსთან გადადებული პარტიის მოგება დიდი ამბავი არ იყო, ვაპანიანთან მსოფლიოს ჩემპიონმა კიდევ უფრო გაზარდა თავისი უპირატესობა და თეთრებს წინააღმდეგობის შეწყვეტა მოუხდათ. სმისლოვმა, რომელიც ფინიშზე დიდი ძალით თამაშობს, მოუგო რაშკოვსკის, ხოლო სვეშნიკოვმა — გრიგორიანს, ტალმა — ცეშკოვსკის, რომანიშინმა — გელერს.

## ერთი საგზურისათვის

14 მოჭადრაკე მონაწილეობს თბილისის ჭადრაკის სასახლის ტრადიციულ ჩემპიონატში. მათ შორის ოსტატები ბოკუჩავა და ლომაია, ოსტატობის კანდიდატები ჭიპაშვილი, კაპანაძე, თხელიძე და სხვები. გამარჯვებული საქართველოს პირველობის ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

საინტერესოა, რომ მათთან ერთად ტურნირში მონაწილეობს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ნახევარმცველი სპორტის ოსტატი მანუჩარ მაჩაიძე. მისი პირველი პარტია ოსტატობის კანდიდატ ჭიპაშვილთან დაძაბული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

ჰოკეი



## „იზვესტიის“ პრიზზე

მოსკოვის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირისადმი, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს, ჰოკეის სპეციალისტები, ჟურნალისტები დიდ ინტერესს იჩენენ. საკმარისია ითქვას, რომ სხვადასხვა ქვეყნის 147 ორგანოს 350-მდე კორესპონდენტი რეგულარულად გადასცემს თავიანთ გაზეთებს, სააგენტოებსა თუ სტუდიებს ტურნირის ახალ, ცხელ-ცხელ ამბებს.

„მსოფლიოს მცირე პირველობა“ — ასე უწოდებენ ლუჟნიკის ყინულზე მიმდინარე ბატალიებს. აქ ხომ ყველა უძლიერესი გამოდის — ოლიმპიური ჩემპიონი სსრ კავშირის ნაკრები, მსოფლიოს ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, კანადელთა ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი „ვინიპეგ ჯეტსი“, ე. ი. ვინც აპრილში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს ვენის სახელგანთქმულ „შტადჰალეში“.

გუშინ სსრ კავშირის ნაკრებისა და კანადის „ვინიპეგ ჯეტსის“ მატჩით დაიწყო ტურნირის მეორე ნახევარი.

ასპარეზობა, როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესო გამოდგა. პირველი პერიოდი დამთავრდა ფრედ — 1:1. შესვენების შემდეგ მასპინძლები წინ გავიდნენ და დასკვნით, მესამე პერიოდს იგებდნენ ანგარიშით 5:1. მაგრამ კანადელებმა შეძლეს სხვაობის შემცირება ორ გოლამდე. 6:4 — საბჭოთა ჰოკეისტებმა მესამე გამარჯვება მოიპოვეს. ამ მატჩში ორ-ორი შაიბა გაიტანეს ჟლუქტოვმა, ბალდერისმა და კანადელმა ჰალმა.

გუშინ საღამოს გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის გუნდებს შორის. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა შვეციის ნაკრებმა.

## მოკლედ

კალათბურთი. ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადის „სპარტაკმა“, ამჯერად სვერდლოვსკში ადგილობრივ „ურალმაშთან“ —119:59.

ფრენბურთი. მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდმა მეორე მატჩიც მოუგო გფრ-ის „ჰანოვერს“ (3:0) და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა.

თხილამურები. ალმა-ათის მახლობლად, ჩიმბულაკში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სამჭიდში. ვაჟთა შორის შეჯიბრებას სწრაფდაშვებაში შემდეგ ლიდერობს ვ. სემიონოვი (კიროვი), ქალებში — ნ. ბელოვა (მინსკი).

სპორტი

## ჩვენი კინოეკრანზე



## სპარტაკი

ვადიმ დერბენევის ახალი ფილმი მოსკოვის დიდი თეატრის საბალეტო დადგმის „სპარტაკის“ ეკრანიზაციაა.

„მე დიდი ხანია მიზიდავს ეს სპექტაკლი, მისი ნიჭიერი შემსრულებლები, კომპოზიტორ არამ ხაჩატურიანის მუსიკა, — მოგვითხრობს რეჟისორი. — ბალეტი „სპარტაკი“ ერთ-ერთი საუკეთესო დადგმათაგანია დიდი თეატრის სცენაზე. მისი დამდგმელი კოლექტივი ლენინური პრემიით დაჯილდოვდა“.

ფილმში სპარტაკისა და კრასის როლებს ასრულებენ სსრკ სახალხო არტისტები, ლენინური პრემიის ლაურეატები ვლ. ვასილევი და მ. ლიეპა. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ს. ვირსალაძეს. ფილმი გადაღებულია კინოსტუდია „მოსფილმში“.

## ყველაზე ლამაზი წიგნი

ჩვენი ქვეყნის გამომცემლობებში 1976 წელს გამოსული წიგნებიდან მხატვრული და პოლიგრაფიული თვალსაზრისით საუკეთესოდ გაფორმებულ ნიმუშებს წარადგენენ მე-18 საკავშირო კონკურსზე „წიგნის ხელოვნება“. ამ კონკურსის მოწყობა გადაწყვიტეს სსრ კავშირის გამსახკომმა, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და პოლიგრაფიისა და გამომცემლობების სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ.

(საქდესის კორ.).

ეს საინტერესოა

□

## ბრაზილიის წყლების მტაცებელი

ბრაზილიელმა მეცნიერებმა ბრძოლა გამოუცხადეს პირანიას — მტაცებელ თევზს, რომელიც ქვეყნის მდინარეებსა და ტბებს ასახლებს. მის ღორმუცელობასა და აგრესიულობაზე ლეგენდებია შექმნილი. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ამ პატარა დიდკბილა მტაცებლების გუნდმა რამდენიმე კაცი დაგლიჯა, როცა მდინარე არაუკოზე გადადიოდნენ. რამდენიმე თვის წინათ კი ინდიელთა ეროვნული ფონდის მშველელთა ჯგუფმა, რომელიც ამ ორგანიზაციის სამი გზააბნეული მოსამსახურის საძებნელად წავიდა, მანაუსის მახლობლად მდინარის ნაპირას პირანიის მიერ სამი ადამიანის გამოღრღნილი ჩონჩხი აღმოაჩინა.

მაგრამ ამ და მსგავსმა ტრაგიკულმა შემთხვევებმა (რომელთა მიზეზი უმთავრესად ადამიანთა გაუფრთხილებლობა იყო) როდი დააჩქარა ბრაზილიელ მეცნიერებს პირანიასთან ორგანიზებული ბრძოლა. კამპანიის მთავარი მიზანია მდინარეებში თევზის მარაგის აღდგენა, განსაკუთრებით ქვეყნის გვალვიან ჩრდილო-აღმოსავლეთში, რომლის მოსახლეობა ქრონიკულად სურსათის ნაკლებობას განიცდის.

პირანიას წამლავენ ტროპიკული მცენარის ფესვებისაგან დამზადებული ფხვნილით. თეთრკანიანი კოლონიზატორები წინათ შეძრწუნებული შეჰყურებდნენ ინდიელებს, რომლებიც პირანიებით სავსე მდინარეში იდგნენ და მშვიდ-ისრებით უშიშრად ნადირობდნენ დიდ თევზზე. ინდიელები პირანიას აფრთხობდნენ ფხვნილით, რომლის დამზადების რეცეპტს საიდუმლოდ ინახავდნენ. როცა მეცნიერებმა პირველად გამოიყენეს ეს მაპარალიზებელი თვისებების მქონე ფხვნილი, სახტად დარჩნენ — იგი იმდენად ძლიერი საშუალება აღმოჩნდა, რომ პირანიასთან ერთად ყველა სხვა სახეობის თევზებიც იღუპებოდნენ; ხანგრძლივი ექსპერიმენტების შემდეგ ისეთი ულუფა შეარჩიეს, რომლისგანაც მხოლოდ პირანიები იხოცებოდნენ. რამდენიმე წელიწადში მტაცებელი გაანადგურეს მდინარეებსა და ტბებში 54 ათას კვადრატულ კილომეტრზე ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იქ შექმნილი მეთევზეობის მეურნეობების წყალობით შარშან 14 ათასი ტონა თევზი მიიღეს. წლეულს უფრო უხვი „მოსავალია“ მოსალოდნელი. მაგრამ პირანიასაგან გათავისუფლებული პირველი 54 ათასი კვადრატული კილომეტრი წყლის ზედაპირი მხოლოდ წვეთია ზღვაში. ბრაზილიაში ხომ კიდევ არის ამაზონია — მწვანე ჯოჯოხეთი, რომლის მდინარეები სავსეა პირანიებით. მეცნიერთა აზრით, ამ მტაცებლის წინააღმდეგ ბრძოლა მრავალ წელიწადს გაგრძელდება.

ი. რუბლიოვსკი.
რიო-დე-ჟანეირო.

ტელევიზია

### 20 დეკემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „ძმები კარამაზოვები“ (I სერია), 12.05 — დოკუმენტური ფილმი „ნაცადია საკუთარ თავზე“, 17.50 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.10. — განცხადებები. 18.15 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 18.35 — ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა, 18.55 — „ეკრანი ბრალს სდებს“, 19.30 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15—„მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 20.45 — „ჩვენი სტუმრები“, 20.55 — „ქართული მუსიკის მოამაგე“ — ანასტასია ვირსალაძე, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ხაფანგი“.

მეორე პროგრამით

18.05 — მოსწავლეებისთვის — მათემატიკა, 18.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „აკაკი ხორავა“, 19.10 — სტუდენტთათვის — ფილოსოფია, 19.55 — განცხადებები, 20.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეცემენტეები“, 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩერმენი“.

რადიო

### 21 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — სიმფონიური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ა. დარგომიჟსკი — ნაწყვეტები ოპერა „ალიდან“, 11.45 — „მეცნიერი ენერგეტიკოსები — სახალხო მეურნეობას“, 12.00 — საწარმოო ტანვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — მღერის ანსამბლი „დიელო“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ყ. ყულიევის ლექსები, 12.30 — ფ. კრაისლერი — სავიოლინო პიესები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — საცეკვაოები ქართული ოპერებიდან, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ი. დუნაევსკი — სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“ ა. ქუთათელი — „პირისპირ“ (გაგრძელება), 14.20 — ზ. ფალიაშვილის ნაწყვეტები ოპერებიდან, 15.00 — „მეცნიერება და ტექნიკა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.15 — რ. გაბიჩვაძე — მეორე კამერული სიმფონია, 17.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — მღერის მ. ამირანაშვილი, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.00 — საუბარი „პიროვნების ჩამოყალიბება და აღზრდა“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — რადიოგაზეთი „სიჭაბუკე“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — „მწერალი და ცხოვრება“, 21.30 — მუსიკალური რადიოკომპოზიცია „დაუვიწყარი“, 23.30 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო ორკესტრის კონცერტი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხაზდივნის — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მოწვევლობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 15171

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14